თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-76999-21
28 / 10 / 2021

მოქალაქე ზაზა ბასილაძეს

ბატონო ზაზა,

თქვენი მიმდინარე წლის 15 ოქტომბრის №02-13-76999-21 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, მეორე მიკრო რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.07.017.029) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მიწისქვეშა დროებით უმოქმედო D=80 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენი.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, გაზსადენთან მიმართებაში საჭიროა დაიცვათ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა და სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება, ხოლო მანძილი მიწისქვეშა მილსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ 2 (ორი) მეტრით.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ზემოთხსენებული მიწისქვეშა გაზსადენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მშენებლობისთვის შეზღუდული ტერიტორია საჭიროა დაიტვირთოს სერვიტუტით, რაზედაც უნდა მოგვმართოთ შესაბამისი განაცხადით.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში